საქართველოში ცემენტის ინდუსტრიის განვითარების შეფასება

სარჩევი

შესავალი 2

I. შეფასების მეთოდოლოგია 3

1.1. შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი 3

1.3. ცემენტის იმპორტი 5

1.4. ექსპორტიორი ქვეყნები 8

1.5. ზიანის შეფასების კრიტერიუმების იდენტიფიცირება 10

II. ცემენტის წარმოების ადგილობრივი ინდუსტრია 11

2.1. ცემენტის ადგილობრივი წარმოება 11

2.2. ცემენტის იმპორტის ანალიზი 25

დასკვნა 33

შესავალი

ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ საქართველოს კონკურენციის სააგენტო პერიოდულად ახორციელებს სხვადასხვა სასაქონლო ბაზრისთვის ადგილობრივი ინდუსტრიის სექტორულ მონიტორინგს.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, პროდუქტის დემპინგური იმპორტის არსებობის შემთხვევაში სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღებას წინ უნდა უძღოდეს შესწავლა, რომელსაც საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, როგორც შესწავლის ორგანო ახორციელებს. ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით განსახორციელებელი შესწავლა კომპლექსური პროცესია და იგი მოიცავს სამი ძირითადი ელემენტის დადგენას - უშუალოდ დემპინგური იმპორტის, ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანისა და დემპინგურ იმპოტსა და ინდუსტრიის ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის ანალიზს. თავის მხრივ, აღნიშნული სამი ელემენტიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის დადგენა, რომელიც შესწავლის წესით განსაზღვრული 15 კრიტერიუმის შეფასების გზით ხორციელდება.

ადგილობრივი ინდუსტრიის განცხადებებისგან დამოუკიდებლად, სააგენტო საკუთარი ინიციატივით ახორციელებს სხვადასხვა ბაზრის შეფასებას სწორედ ზიანის ელემენტთან მიმართებით. აღნიშნული ბაზრების შერჩევა ხდება რამდენიმე წინაპირობაზე დაყდნობით, კერძოდ, ადგილობრივი წარმოების მნიშვნელოვანი მოცულობა, იმავე სექტორში იმპორტის არსებითი მოცულობის/წილის არსებობა და ანტიდემპინგური ღორნისძიებების პრაქტიკის არსებობა საერთაშორისო მასშტაბით (სხვა ქვეყნების მიერ შემოღებული) ინდუსტრიის შესაბამის სექტორში (განსაკუთრებით საქართველოში იმპორტის წყაროებთან მიმართებით).

აღნიშნული წინაპირობების გათვალისწინებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს სამშენებლო ცემენტის (პორტლანდცემენტი) წარმოების სექტორი, რომელიც შერჩეულ იქნა მონიტორინგის ობიექტად. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს აღნიშნული პროდუქტის ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობას და ბაზარზე არსებულ მნიშვნელოვან ტენდენციებს.

შენიშვნა: *წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში შიდა მოხმარების მიზნითაა შექმნილი. იგი ეყრდნობა სააგენტოსთვის საჯაროდ ხელმისწავდომ და საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას, შესაბამისად იგი არ წარმოდგენს შესაბამისი სექტორის სრულყოფილ შეფასებას.*

I. შეფასების მეთოდოლოგია

1.1. შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი

საქართველოს ანტიდემპინგური კანონმდებლობით განსაზღვრული შესწავლა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- პროდუქტის დემპინგური იმპორტის არსებობის დადგენას;
- ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანის ან მისთვის ზიანის მიყენების საფრთხის დადგენას;
- მიყენებულ ზიანსა და დემპინგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენას.

აღნიშნული სამი კომპონენტიდან, წარმოდგენილი მონიტორინგი მიმართულია ინდუსტრიისათვის მიყენებული ზიანის დადგენის ნაწილში, ცემენტის წარმოების სექტორის, შეფასებაზე.

ინდუსტრიისათვის მიყენებული ზიანის დადგენისათვის, პირველ რიგში, აუცლებელია შესწავლის ობიექტისა და მსგავსი პროდუქტის განსაზღვა. „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის („კანონი“) მიხედვით შესწავლის ობიექტი განმარტებულია, როგორც იმპორტირებული პროდუქტი, რომელიც ექვემდებარება შესწავლას, ხოლო მსგავსი პროდუქტი წარმოადგენს შესწავლის ობიექტის იდენტურ პროდუქტს. ზიანის დადგენის ნაწილში, მსგავს პროდუქტად განისაზღვება ადგილობრივი მწარმოებლების მიერ წარმოებული შესწავლის ობიექტის ყოველმხრივ მსგავსი პროდუქტი.

მოცემული მონიტორინგისთვის **შესწავლის ობიექტად** განსაზღვრულია საქართველოში <u>იმპორტირებული სამშენებლო ცემენტი.</u> პროდუქტის იმპორტის მაჩვენებელების ანალიზისთვის გამოყენებულია საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის ოთხნიშნა კოდი - 2523 -ის შესაბამისი სახეობები, ძირითადად პორტლანდცემენტი, რაც შეადგენს საქართველში იმპორტირებული შესაბამისი პროდუქციის უდიდეს ნაწილს. **მსგავს პროდუქტად** განსაზღვრულია ადგილობრივი წარმოების <u>პორტლანდცემენტი</u>. აღნიშნული ჯგუფი ასევე მოიცავს ცემენტის <u>კლინკერს,</u> რაც წინამდებარე კვლევაში ცალკეა გამოყოფილი.

ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობის შეფასების მიზნით, გამოყენებულია სსიპ შემოსავლების სამსახურის („შემოსავლების სამსახური“) მონაცემთა ბაზებიდან მოძიებული ინფორმაცია პორტლანდცემენტის მწარმოებლების გაყიდვებთან დაკავშირებით. მონაცემები მოიცავს 2020-2023 წლებში განხორციელებულ ტრანზაქციებს.

წარმოდგენილი წყაროებიდან მოძიებული და დამუშავებულია შემდეგი ინფორმაცია:

- შესწავლის პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ გაყიდული პორტლანდცემენტის რაოდენობაზე;

- შესწავლის პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ გაყიდული პორტლანდცემენტიდან მიღებულ შემოსავლებზე;
- პროდუქტის საშუალო ღირებულებაზე;
- შეფასებულია 2020-2023 (3 კვარტალი) წლებში ცემენტით საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები, იმპორტირებული პორტლანდცემენტის რაოდენობა და საშუალო ღირებულება.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი წარმოების მიერ ცემენტის ექსპორტი არ ფიქსირდება. შესაბამისად, ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობა მხოლოდ ადგილობრივი ბაზრის შეფასების საფუძველზე დადგინდება.

1.2. ადგილობრივი ინდუსტრია

2022 წლის მონაცემების მიხედვით, პორტლანდცემენტის წარმოების მიმართულებით იდენტიფიცირებულია 54 კომპანია (ცხრილი N1), მათ შორის:

კომპანია	საბაზრო წილი (მთლიანი ბრუნვის მიხედვით, 2022 წ.)
შპს „მაქს იმპორტი“	%
შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფ“	%
შპს „მეგა ცემენტი“	%
შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“	%
შპს „საქართველოს ცემენტის კომპანია“	%
შპს „გია_2019“	%
შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“	%
სხვები (47 კომპანია)	10.85%
სულ	**100%**

ცხრილი N1 - ცემენტის ადგილობრივ ინდუსტრიაში ჩართული კომპანიების საბაზრო წილები 2022 წლის მონაცემებით.

ხაზგასასმელია, რომ 54 კომპანიიდან 7 ყველაზე დიდი კომპანია, მთლიანი ბრუნვის მიხედვით ბაზრის თითქმის 90%-ს იკავებს, ხოლო სხვა კომპანიების შემთხვევაში ბაზარზე წილი საშუალოდ 0,25%-ია, რის გამოც ადგილობრივი ინდუსტრიის სექტორული მონიტორინგის მიზნებისთვის გამართლებულია ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობა შეფასდეს სწორედ ამ კომპანიების მონაცემებზე დაყრდნობით. შესაბამისად, ქვემოთ მოცემული ცხრილებისათვის მონაცემები სწორედ ამ კომპანიების გაყიდვების მიხედვითაა შეფასებული.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე დოკუმენტი ეხება პორტლანდცემენტის მწარმოებელ ადგილობრივ ინდუსტრიას, ქვემოთ მოცემულია ასევე მონაცემები კლინკერის რეალიზაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული საქონლისგან უშუალოდ იწარმოება პორტლანდცემენტი, რომლის წარმოების დანახარჯში კლინკერს უდიდესი წილი უჭირავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, კვლევამ დაფაროს კლინკერის რეალიზაციის მაჩვნებლებიც.

შესაბამისად, ზემოხსენებული შვიდი იდენტიფიცირებული პორტლანდცემენტის მწარმოებელი კომპანიისათვის კლინკერისა და პორტლანდცემენტის რეალიზაციის მაჩვენებლები 2020-2022 წლებში შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრილი N2):

კომპანია	რეალიზებული კლინკერის რაოდენობა (ტონა) 2020-2022წწ.	რეალიზებული ცემენტის რაოდენობა (ტონა) 2020-2022წწ.	რეალიზებული საქონლის რაოდენობა (ტონა) 2020-2022წწ.	კლინკერი %	ცემენტი %	სულ %
შპს "ჰაიდელბერგ ცემენტი"						
შპს "მაქს იმპორტი"						
შპს "გია-2019"						
შპს "ჯერმან ცემენტი"						
შპს "საქართველოს ცემენტის კომპანია"						
შპს "მეგა ცემენტი"						
შპს "ჯორჯიან ბილდინგ გროუფ"						
სულ:	**1,150,982.17**	**6,161,100.97**	**7,312,083.14**	**100%**	**100%**	**100%**

ცხრილი N2 - ადგილობრივი ინდუსტრიის მსხვილი მწარმოებლების მიერ 2020-2022 წლებში რეალიზებული კლინკერი და ცემენტი.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მწარმოებლის ცნების ქვეშ იგულისხმება პორტლანდცემენტის მწარმოებელი კომპანიები, ხოლო კლინკერის შემთხვევაში უშუალოდ ადგილობრივი წარმოება არ არის ნაგულისხმევი, იგი ასევე მოიცავს იმპორტირებულ პროდუქციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს მაჩვენებლებს 2020-2022 წლებში მთლიანი ინდუსტრიისთვის, კერძოდ, რეალიზაციას საბოლოო პროდუქტის (ცემენტის) თუ პირველადი ნედლეულის (კლინკერის) სახით ჯამურად.

1.3. ცემენტის იმპორტი

დოკუმენტის მიზნებისთვის დამუშავებულ იქნა იმპორტის მონაცემები 2020-2023 წლებისათვის (2023 წლის სექტემბრის ჩათვლით). 2023 წლის 9 თვის მონაცემებით იმპორტის

ოპერაცია განახორციელა 73-მა სუბიექტმა, საიდანც 20 ყველაზე დიდი ეკონომიკური აგენტის (1% ან მეტი) მიერ განხორციელებულმა იმპორტმა 91,38%, ხოლო სამი ყველაზე მსხვილი იმპორტიორის პროცენტული წილი იმპორტში 16.39%, 15.12%-სა და 9.02%-ს შეადგენს. სულ 2023 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში იმპორტირებულ იქნა 129 343 ტონა ცემენტი და კლინკერი (მ. შ. 92 758 ტონა კლინკერი და 36 584 ტონა ცემენტი), რაც არსებითად აღემატება წინა სამი წლის ტრენდს.

ქვემო დიაგრამებზე მოცემულია ცემენტის და კლინკერის ერთობლივად და ცალკე ცემენტის იმპორტის დინამიკა 2020-2023 წლებში (დიაგრამა N1, N2):



<u>დიაგრამა N1</u> - ცემენტისა და კლინკერის მთლიანი იმპორტის დინამიკა



<u>დიაგრამა N2</u> - ცემენტის მთლიანი იმპორტის დინამიკა

როგორც დიაგრამიდან იკვეთება, ცემენტის იმპორტი პიკს ყოველი წლის შუა პერიოდში აღწევს, ხოლო 2023 წლის პიკური მაჩვენებლები (100 000 ტონაზე მეტი აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით) მნიშვნელოვნად აღემატება 2020-2022 წლის შესაბამისი თვეების მაჩვენებლებს (ცხრილი N3, N4, N5), კერძოდ:

აპრილი-სექტემბერი	ცემენტის და კლინკერის იმპორტი (ლარი)
2020 წ.	61 055 192.41
2021 წ.	78 626 886.73
2022 წ.	80 407 765.02
2023 წ.	100 744 694.89

<u>ცხრილი N3</u> - 2020-2023 წლების აპრილ-სექტემბრის შუალედებში იმპორტირებული კლინკერისა და ცემენტის მოცულობა (საერთო ღირებულება, ლარი).

აპრილ-სექტემბერი	კლინკერის იმპორტი (ლარი)
2020 წ.	43 459 481.54
2021 წ.	55 173 591.52
2022 წ.	60 301 797.51
2023 წ.	74 101 628.54

ცხრილი N4 - 2020-2023 წლების აპრილ-სექტემბრის შუალედებში იმპორტირებული კლინკერის მოცულობა (საერთო ღირებულება, ლარი).

აპრილ-სექტემბერი	ცემენტის იმპორტი (ლარი)
2020 წ.	17 595 710.87
2021 წ.	23 542 958.17
2022 წ.	20 105 967.51
2023 წ.	26 643 066.36

ცხრილი N5 - 2020-2023 წლების აპრილ-სექტემბრის შუალედებში იმპორტირებული ცემენტის მოცულობა (საერთო ღირებულება, ლარი).

1.4. ექსპორტიორი ქვეყნები

იმპორტიორ კომპანიებთან შედარებით ნაკლებად დივერსიფიცირებულია იმპორტის მონაცემები ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით. როგორც მონაცემები ცხადყოფს, საქართველოში იმპორტირებული ცემენტი ძირითადად აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან შემოდის, რაზეც იმპორტის თითქმის 99% მოდის. 2023 წლის სამი კვარტლის მონაცემებით კი იმპორტი სულ 5 ქვეყნიდან ფიქსირდება.

ქვემო დიაგრამებზე მოცემულია ცემენტის და კლინკერის ერთობლივად და ცალკე ცემენტის იმპორტი ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით (დიაგრამა N3, N4):



<u>დიაგრამა N3</u> - ცემენტისა და კლინკერის მთლიანი იმპორტი 2020-2023 წლებში (ღირებულება, ლარი)



<u>დიაგრამა N4</u> - ცემენტის მთლიანი იმპორტი 2020-2023 წლებში (ღირებულება, ლარი)

როგორც ცხადად ჩანს, მთავარი ექსპორტიორები არიან აზერბაიჯანი (იმპორტის საერთო მოცულობის 69,5%) და თურქეთი (იმპორტის საერთო მოცულობის 29,6%). მათი მონაცემები წლების მიხედვით ასეთია (ცხრილი N6, N7):

ექსპორტიორი ქვეყანა (ცემენტი და კლინკერი)	2020 წ. (იმპორტის მოცულობა, ლარი)	2021 წ. (იმპორტის მოცულობა, ლარი)	2022 წ. (იმპორტის მოცულობა, ლარი)	2023 წ. 9 თვე (იმპორტის მოცულობა, ლარი)
აზერბაიჯანი	57 579 992.45	97 131 837.60	113 621 519.93	99 245 701.75
თურქეთი	50 720 512.31	41,854,462.07	34,008,664.34	30,049,649.83

ცხრილი N6 - 2020-2023 წლებში აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ცემენტისა და კლინკერის მთლიანი ექსპორტი (საერთო ღირებულება, ლარი).

ექსპორტიორი ქვეყანა (ცემენტი)	2020 წ. (იმპორტის მოცულობა, ლარი)	2021 წ. (იმპორტის მოცულობა, ლარი)	2022 წ. (იმპორტის მოცულობა, ლარი)	2023 წ. 9 თვე (იმპორტის მოცულობა, ლარი)
აზერბაიჯანი	42 607.78	298 591,84	1 906 391.14	7 575 913.64
თურქეთი	30 719 587.44	39 051 652.22	34 043 209.35	28 975 459.18

ცხრილი N7 - 2020-2023 წლებში აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ცემენტის მთლიანი ექსპორტი (საერთო ღირებულება, ლარი).

1.5. ზიანის შეფასების კრიტერიუმების იდენტიფიცირება

შერჩეული ინდუსტრიის მონიტორინგი ხორციელდება კანონის მე-14 მუხლისა და „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების („წესი და პროცედურები“) მე-16 მუხლით განსაზღვრული ზიანის დადგენის პრინციპების საფუძველზე. აღნიშნული სამართლებრივი აქტები განსაზღვრავს შესწავლის განხორციელების პროცესში ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული ზიანის დადგენის ძირითად ფაქტორებს, რაც მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას:

- დემპინგური იმპორტის მოცულობისა და ფასებზე გავლენის დადგენა;
- საბოლოო გავლენა ადგილობრივი ინდუსტრიაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ კვლევა ძირითადად ეყრდნობა შემოსავლების სამსახურის იმპორტის მონაცემთა ბაზებსა და კომპანიების მიერ გამოწერილი

ზედნადებების დამუშავებით მიღებულ ინფორმაციას, იგი ფოკუსირდება **იმპორტის მოცულობისა** და **ადგილობრივი გაყიდვების აბსოლუტური მაჩვენებლებისა და ტენდენციების** შეფასებაზე. ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის შედარების საფუძველზე, შეფასდება ორივე მხარის ზრდის/კლების ტენდენციები და დადგინდება ბაზარზე იმპორტირებული პროდუქტის მოცულობის მნიშვნელობა.

პროდუქტის საშუალო ფასებზე დაყრდნობით, შედარდება ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული პროდუქტის ფასები, დადგინდება ფასების განვითარების ზრდის/კლების ტენდენციები.

მესამე მიმართულება კი ეთმობა ადგილობრივი ინდუსტრიის ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს. აღნიშნული ნაწილის მიზანია ადგილობრივი ინდუსტრიის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და ზიანის იდენტიფიცირება. ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობის შესაფასებლად, განხილული იქნება ადგილობრივი გაყიდვების მოცულობა და მიღებული შემოსავლების ცვლილების დინამიკა, ზოგადად ბაზარზე არსებული კონკურენცია და ფასების ცვლილებაზე გავლენის მქონე ფაქტორები.

II. ცემენტის წარმოების ადგილობრივი ინდუსტრია

2.1. ცემენტის ადგილობრივი წარმოება

2020-2022 წლების და 2023 წლის იანვარი-აპრილის მონაცემებით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ცემენტის ადგილობრივი ინდუსტრიის განვითარების ზოგადი ტენდენცია, წლების მიხედვით. მონაცემების დამუშავების შედეგად მიღებული დიაგრამები ცხადყოფს, რომ წარმოების ზოგადი ტრენდი (ლოკალური კლებების მიუხედავად) ზრდადია, როგორც რეალიზების რაოდენობის, ასევე თანხის და ფასების მიხედვით (დიაგრამა N5, N6, N7).



<u>დიაგრამა N5</u> - ადგილობრივი წარმოების ცემენტის რეალიზება 2020-2023 წლებში (რაოდენობა, ტონა)



<u>დიაგრამა N6</u> - ადგილობრივი წარმოების ცემენტის რეალიზება 2020-2023 წლებში (ღირებულება, ლარი)



<u>დიაგრამა N7</u> - ადგილობრივი წარმოების ცემენტის სარეალიზაციო საშუალო შეწონილი ფასი 2020-2023 წლებში (ლარი/ტონა)

მონიტორინგის განხორციელების პროცესში 2023 წლისთვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ადგილობრივი გაყიდვების იანვარ-აპრილის მონაცემები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ წინა წლების შესაბამის პერიოდებთან შედარებით ზრდა შეინიშნება სამივე კომპონენტში (ცხრილი N8, N9, N10):

იანვარ-აპრილის მონაცემები	რეალიზებული ცემენტის რაოდენობა (ტონა)
2020 წ.	443,326.20
2021 წ.	517,748.23
2022 წ.	506,157.52
2023 წ.	521,899.01

<u>ცხრილი N8</u> - ადგილობრივი წარმოების ცემენტის რეალიზება 2020-2023 წლების იანვარ-აპრილის პერიოდში (რაოდენობა, ტონა)

იანვარ-აპრილის მონაცემები	რეალიზებული ცემენტის ღირებულება (ლარი)
2020 წ.	86,733,405.66
2021 წ.	109,955,935.05
2022 წ.	123,574,655.36
2023 წ.	143,637,532.98

ცხრილი N9 - ადგილობრივი წარმოების ცემენტის რეალიზება 2020-2023 წლების იანვარ-აპრილის პერიოდში (ღირებულება, ლარი)

იანვარ-აპრილის მონაცემები	რეალიზებული ცემენტის საშუალო შეწონილი ფასი (ლარი/ტონა, საინვოისო)
2020 წ.	195.64
2021 წ.	212.37
2022 წ.	244.14
2023 წ.	275.22

ცხრილი N10 - ადგილობრივი წარმოების ცემენტის რეალიზება 2020-2023 წლების იანვარ-აპრილის პერიოდში (საშუალო შეწონილი ფასი, ლარი/ტონა, საინვოისო)

თუ სამივე კომპონენტს უფრო დეტალურად, თვეების ჭრილში განვიხილავთ, იმპორტის მსგავსად, რეალიზაციაშიც შევნიშნავთ ერთგვარ ციკლურობას, კერძოდ, გაყიდვების რაოდენობა თავის პიკს აღწევს ივნის-სექტემბერში, ხოლო ზამთრის პერიოდში მნიშვნელოვნად იკლებს. იგივე ითქმის რეალიზების თანხაზეც. აღნიშნული ცხადად ჩანს ქვემოთ მოყვანილ დიაგრამებზე, სადაც მოცემულია ცემენტისა და კლინკერის რეალიზების საერთო რაოდენობები (ტონა), ღირებულება (ლარი) და საშუალო შეწონილი ფასი (ლარი/ტონა) 2020 წ. 2023 წლის აპრილის ჩათვლით (დიაგრამა N8, N9, N10).

<u>დიაგრამა N8</u> - ადგილობრივი წარმოების ცემენტის რეალიზება 2020-2023 წლებში, თვეების მიხედვით (რაოდენობა, ტონა)



<u>დიაგრამა N9</u> - ადგილობრივი წარმოების ცემენტის რეალიზება 2020-2023 წლებში, თვეების მიხედვით (ღირებულება, ლარი)



<u>დიაგრამა N10</u> - ადგილობრივი წარმოების ცემენტის სარეალიზაციო საშუალო შეწონილი ფასი 2020-2023 წლებში, თვეების მიხედვით (ლარი/ტონა, საინვოისო)

უნდა აღინიშნოს, რომ რეალიზებიდან მიღებული თანხის ზრდა განპირობებულია როგორც გაყიდვების მოცულობის, ასევე პროდუქციის ფასის ზრდით.

საინტერესოა იმპორტისა და ადგილობრივი რეალიზაციის შედარება, ორივე შემთხვევაში თანხის მაჩვენებელი იზრდება, ხოლო რაოდენობრივ ჭრილში ზრდის ტენდენცია ამდენად აშკარა არ არის, რაც საინტერესო კორელაციაშია იმპორტის ზრდად ტრენდთან (დიაგრამა N11, N12, N13):



<u>დიაგრამა N11</u> - იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ცემენტისა და კლინკერის საერთო მოცულობა (რაოდენობა, ტონა)



<u>დიაგრამა N12</u> - იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების კლინკერის საერთო მოცულობა (რაოდენობა, ტონა)



<u>დიაგრამა N13</u> - იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ცემენტის საერთო მოცულობა (რაოდენობა, ტონა)

მიუხედავად აღნიშნულისა, კომპანიების მიერ გენერირებული შემოსავლების ტრენდი ზრდადია ლარში, რაც ლოგიკურია საშუალო შეწონილი ფასის ზრდის პარალელურად (დიაგრამა N14, N15, N16).



<u>დიაგრამა N14</u> - იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ცემენტისა და კლინკერის საერთო მოცულობა (ღირებულება, ლარი)



<u>დიაგრამა N15</u> - იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების კლინკერის საერთო მოცულობა (ღირებულება, ლარი)



<u>დიაგრამა N16</u> - იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ცემენტის საერთო მოცულობა (ღირებულება, ლარი)

ამ დიაგრამებზე მოცემულია 2020-2022 წლებში და 2023 წლის იანვარ-აპრილში საქართველოში იმპორტირებული და წარმოებული ცემენტისა და კლინკერის რაოდენობები (ტონა) და ღირებულება (ლარი). ცხადად ჩანს, რომ 2021 წელს მათი რაოდენობაც და ღირებულებაც გაზრდილია 2020 წელთან შედარებით, ხოლო 2022 წელს 2021 წელთან შედარებით რაოდენობა შემცირებულია, მაგრამ საერთო ღირებულება გაზრდილია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ზრდა განპირობებულია ფასების ზრდით, ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე შედარებულია იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ცემენტის და კლინკერის საერთო საშუალო შეწონილი ფასი და იგივე ფასები ცალ-ცალკე (დიაგრამა N17, N18, N19).



<u>დიაგრამა N17</u> - იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ცემენტისა და კლინკერის სარეალიზაციო საშუალო შეწონილი ფასი 2020-2023 წლებში (ლარი/ტონა)



<u>დიაგრამა N18</u> - იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების კლინკერის სარეალიზაციო საშუალო შეწონილი ფასი 2020-2023 წლებში (ლარი/ტონა)



<u>დიაგრამა N19</u> - იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ცემენტის სარეალიზაციო საშუალო შეწონილი ფასი 2020-2023 წლებში (ლარი/ტონა, საინვოისო)

როგორც მონაცემები ცხადყოფს, ადგილობრივი ინდუსტრიის სარეალიზაციო ფასები უფრო მაღალია, ვიდრე იმპორტის ფასები. რაც შეეხება ზრდის ტემპს, კლინკერის იმპორტის ფასი 2020 წლიდან 2023 წლის აპრილამდე გაიზარდა 5,38%-ით, ხოლო ადგილობრივი რეალიზაციის ფასი - 22,3%-ით. ანალოგიური მაჩვენებლები ცემენტისთვის შეადგენს 42,99%-ს და 36,6%-ს.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ **2020-22 წლებში ინდუსტრიის მიერ გაყიდული ცემენტის რაოდენობის მცირე კლების მიუხედავად, საშუალო შეწონილი ფასის ზრდის ფონზე ამ პერიოდში ინდუსტრიის შემოსავლები გაზრდილია.**

ინდუსტრიის ზოგადი შეფასების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია ინდივიდუალურად კომპანიების საქმიანობის ანალიზი და ამ მიმართულებით ძირითადი ტენდენციების იდენტიფიცირება. როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, 2022 წლის მონაცემების მიხედვით, პორტლანდცემენტის წარმოების მიმართულებით იდენტიფიცირებული 54 კომპანიიდან 7 ყველაზე დიდი კომპანია, მთლიანი ბრუნვის მიხედვით, ბაზრის თითქმის 90%-ს იკავებს. კვლევის მიზნებისთვის რელევანტურია სწორედ ამ კომპანიების მონაცემების დამუშავება. დათვლილ იქნა მათ მიერ რეალიზებული ცემენტის რაოდენობა, ფასი და შეფასდა წილობრივი გადანაწილება (100%-ად მიჩნეულია იდენტიფიცირებული 7 კომპანიის ჯამური მონაცემები), რაც ასახულია დიაგრამებზე (დიაგრამა N20, N21), თუმცა, მონაცემთა კონფიდენციალობის გათვალისწინებით ეს დიაგრამები აქ არ არის მოყვანილი.

<u>დიაგრამა N20</u> - ადგილობრივი კომპანიების მიერ ცემენტის რეალიზაცია (რაოდენობა, ტონა)

<u>დიაგრამა N21</u> - ადგილობრივი კომპანიების მიერ ცემენტის რეალიზაცია (ღირებულება, ლარი)

რაც შეეხება კომპანიების სარეალიზაციო ფასებს, როგორც ირკვევა, მათ ერთნაირი, ზრდადი ტრენდი ახასიათებს (დიაგრამა N22).



<u>დიაგრამა N22</u> - ადგილობრივი კომპანიების მიერ რეალიზებული ცემენტის სარეალიზაციო საშუალო შეწონილი ფასი 2020-2023 წლებში (ლარი/ტონა, საინვოისო)

კომპანიების ფასების შედარებისას იკვეთება, რომ შესწავლის პერიოდში ყველა კომპანიის მიერ რეალიზებული ცემენტის საშუალო ღირებულება სტაბილურად მზარდია. ამასთანავე, მზარდია იმპორტირებული ცემენტის საშუალო შეწონილი ფასიც. ფასების ზრდა ლოგიკურ კავშირშია კომპანიების ბრუნვის ზრდასთანაც.

საინტერესოა თავად ამ კომპანიების წილობრივი მაჩვენებლები, თუ ავიღებთ 2022 წლის მონაცემებს, ცხადად გამოკვეთილ წარმოების უპირობო ლიდერს, რაც აისახება როგორც რეალიზებული ცემენტის რაოდენობის, ასევე თანხობრივ მაჩვენებლებს. მონაცემები ასახულია დიაგრამებზე (დიაგრამა N23, N24), თუმცა, ზემოთქმულის ანალოგიურად, მონაცემთა კონფიდენციალობის გათვალისწინებით ეს დიაგრამები აქ არ არის მოყვანილი.

<u>დიაგრამა N23</u> - ადგილობრივი კომპანიების მიერ ცემენტის რეალიზაციის პროცენტული განაწილება (რაოდენობა, ტონა)

<u>დიაგრამა N24</u> - ადგილობრივი კომპანიების მიერ ცემენტის რეალიზაციის პროცენტული განაწილება (ღირებულება, ლარი)

2.2. ცემენტის იმპორტის ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილია 2020-23 წლებში საქართველოში ცემენტის იმპორტის ძირითადი ტენდენციები. აღნიშნული სექტორის შეფასების მიზნით, განხილულია იმპორტის მოცულობის აბსოლუტური ზრდა და შეფასებულია წლების განმავლობაში ფასების ცვლილება. ასევე, გაანალიზებულია ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების საბაზრო წილების ტენდენციები და მათ მიერ იმპორტირებული პროდუქტის ფასები. დამატებით, 2023 წლის დინამიკის ანალიზისთვის წარმოდგენილია სამი კვარტლის მონაცემების შეფასება, რომელიც შედარებულია წინა წლების შესაბამის პერიოდთან (ცხრილი N11, N12).

ცემენტის და კლინკერის იმპორტი საქართველოში - 2020-2023წწ.

პერიოდი (წელი)	იმპორტი წლების მიხედვით, რაოდენობა (ტონა)	იმპორტი წლების მიხედვით, ღირებულება (ლარი)	საშუალო შეწონილი ფასი (ლარი/ტონა)
2020 წ.	713,678.51	112,521,763.12	157.66
2021 წ.	844,383.64	139,085,512.46	164.72
2022 წ.	838,541.07	147,908,536.20	176.39
2023 წ. იანვარ-სექტემბერი	693,082.74	129,343,261.80	186.62
სულ	**3,089,685.96**	**528,859,073.59**	**171.17**

ცხრილი N11 - ცემენტის და კლინკერის მთლიანი იმპორტი 2020წ. -2023წ. სექტემბერი (რაოდენობა - ტონა, ღირებულება - ლარი, საშუალო შეწონილი ფასი - ლარი/ტონა)

ცემენტის და კლინკერის იმპორტი საქართველოში - 2020-2023 წლების იანვარ-სექტემბერი

პერიოდი (წელი)	იმპორტი წლების მიხედვით, რაოდენობა (ტონა)	იმპორტი წლების მიხედვით, ღირებულება (ლარი)	საშუალო შეწონილი ფასი (ლარი/ტონა)
2020 წ. იანვარ-სექტემბერი	525,614.15	82,664,107.68	157.27
2021 წ. იანვარ-სექტემბერი	620,770.88	101,872,523.52	164.11
2022 წ. იანვარ-სექტემბერი	605,097.03	106,389,239.36	175.82
2023 წ. იანვარ-სექტემბერი	693,082.74	129,343,261.80	186.62
სულ	**2,444,564.79**	**420,269,132.36**	**171.92**

ცხრილი N12 - ცემენტის და კლინკერის მთლიანი იმპორტი 2020-2023 წლების იანვარ-სექტემბრის პერიოდებში (რაოდენობა - ტონა, ღირებულება - ლარი, საშუალო შეწონილი ფასი - ლარი/ტონა)

როგორც ზემოთაც აღინიშნა და წარმოდგენილი ცხრილებიდანაც ჩანს, 2022 წელს 2021 წელთან შედარებით ნაკლები რაოდენობის პროდუქციის იმპორტის მიუხედავად იმპორტირებული საქონლის საერთო ღირებულება გაზრდილია, რაც გამოწვეულია ფასის ზრდით. 2021 წელს ცემენტის და კლინკერის საერთო იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 7,05 ლარით, რაც 4,47%-ს შეადგენს, ხოლო 2022 წელს 2021 წელთან შედარებით გაიზარდა 11,67 ლარით, რაც 7,08%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებლები ერთნაირია აღნიშნული წლების იანვარ-სექტემბრის საშუალო მაჩვენებლებისთვისაც. 2023 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდშიი ცემენტის და კლინკერის საერთო იმპორტის საშუალო შეწონილ ფასს თუ შევადარებთ 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან, ვნახავთ, რომ ფასი გაზრდილია 11,72 ლარით, რაც 7,14%-ს შეადგენს.

განვიხილოთ ცალ-ცალკე კლინკერის და ცემენტის იმპორტიც, რაც ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში (ცხრილი N13, N14).

კლინკერის იმპორტი საქართველოში - 2020-2023 წწ.

პერიოდი (წელი)	იმპორტი წლების მიხედვით, რაოდენობა (ტონა)	იმპორტი წლების მიხედვით, ღირებულება (ლარი)	საშუალო შეწონილი ფასი (ლარი/ტონა)
2020 წ.	540,009.58	81,637,928.66	151.18
2021 წ.	647,086.19	99,636,055.60	153.98
2022 წ.	692,695.60	111,703,244.54	161.26
2023 წ. იანვარ-სექტემბერი	550,083.86	92,758,529.82	168.63
სულ	**2,429,875.24**	**385,735,758.63**	**158.75**

ცხრილი N13 - კლინკერის იმპორტი 2020წ. -2023წ. სექტემბერი (რაოდენობა - ტონა, ღირებულება - ლარი, საშუალო შეწონილი ფასი - ლარი/ტონა)

კლინკერის იმპორტი საქართველოში - 2020-2023 წლების იანვარ-სექტემბერი

პერიოდი (წელი)	იმპორტი წლების მიხედვით, რაოდენობა (ტონა)	იმპორტი წლების მიხედვით, ღირებულება (ლარი)	საშუალო შეწონილი ფასი (ლარი/ტონა)
2020 წ. იანვარ-სექტემბერი	388,978.68	58,827,489.64	151.24
2021 წ. იანვარ-სექტემბერი	468,622.50	71,978,371.10	153.60
2022 წ. იანვარ-სექტემბერი	495,540.68	79,487,427.27	160.41
2023 წ. იანვარ-სექტემბერი	550,083.86	92,758,529.82	168.63
სულ	**1,903,225.72**	**303,051,817.84**	**159.23**

ცხრილი N14 - კლინკერის იმპორტი 2020-2023 წლების იანვარ-სექტემბრის პერიოდებში (რაოდენობა - ტონა, ღირებულება - ლარი, საშუალო შეწონილი ფასი - ლარი/ტონა)

როგორც წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, 2021-2022 წლებში წინა წლებთან შედარებით მეტი რაოდენობის კლინკერია იმპორტირებული და, შესაბამისად, იმპორტირებული საქონლის საერთო ღირებულებაც გაზრდილია, თუმცა ფასის ზრდა აქაც შეიმჩნევა. 2021 წელს კლინკერის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 2,80 ლარით, რაც 1,85%-ს შეადგენს, ხოლო 2022 წელს 2021 წელთან შედარებით გაიზარდა 7,28 ლარით, რაც 4,73%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებლები ერთნაირია აღნიშნული წლების იანვარ-სექტემბრის საშუალო მაჩვენებლებისთვისაც. 2023 წლის იანვარ-სექტემბრის განმავლობაში ცემენტის იმპორტის საშუალო შეწონილ ფასს თუ შევადარებთ 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან, ვნახავთ, რომ ფასი გაზრდილია 6,81 ლარით, რაც 4,43%-ს შეადგენს.

განსხვავებული მდგომარეობაა ცალკე ცემენტის იმპორტის შემთხვევაში, რაც ქვემოთ მოყვანილ ცხრილებშია აღწერილი (ცხრილი N15, N16).

ცემენტის იმპორტი საქართველოში - 2020-2023წწ.

პერიოდი (წელი)	იმპორტი წლების მიხედვით, რაოდენობა (ტონა)	იმპორტი წლების მიხედვით, ღირებულება (ლარი)	საშუალო შეწონილი ფასი (ლარი/ტონა)
2020 წ.	173,668.93	30,883,834.46	177.83
2021 წ.	197,297.45	39,449,456.86	199.95
2022 წ.	145,845.47	36,205,291.66	248.24
2023 წ. იანვარ-სექტემბერი	142,998.87	36,584,731.98	255.84
სულ	**659,810.73**	**143,123,314.96**	**216.92**

ცხრილი N15 - ცემენტის იმპორტი 2020წ.-2023წ. სექტემბერი (რაოდენობა - ტონა, ღირებულება - ლარი, საშუალო შეწონილი ფასი - ლარი/ტონა)

ცემენტის იმპორტი საქართველოში - 2020-2023 წლების იანვარ-სექტემბერი

პერიოდი (წელი)	იმპორტი წლების მიხედვით, რაოდენობა (ტონა)	იმპორტი წლების მიხედვით, ღირებულება (ლარი)	საშუალო შეწონილი ფასი (ლარი/ტონა)
2020 წ. იანვარ-სექტემბერი	136,635.47	23,836,618.03	174.45
2021 წ. იანვარ-სექტემბერი	152,148.37	29,894,152.42	196.48
2022 წ. იანვარ-სექტემბერი	109,556.35	26,901,812.09	245.55
2023 წ. იანვარ-სექტემბერი	142,998.87	36,584,731.98	255.84
სულ	**541,339.07**	**117,217,314.53**	**216.53**

ცხრილი N16 - ცემენტის იმპორტი 2020-2023 წლების იანვარ-სექტემბრის პერიოდებში (რაოდენობა - ტონა, ღირებულება - ლარი, საშუალო შეწონილი ფასი - ლარი/ტონა)

როგორც წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, 2022 წელს 2021 წელთან შედარებით ნაკლები რაოდენობის ცემენტის იმპორტის მიუხედავად (კლება 26%) იმპორტირებული საქონლის საერთო ღირებულება ნაკლებადაა შემცირებული (8%), რაც გამოწვეულია ფასის ზრდით. 2021 წელს ცემენტის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 22,12 ლარით, რაც 12,44%-ს შეადგენს, ხოლო 2022 წელს 2021 წელთან შედარებით გაიზარდა 48,30 ლარით, რაც 24,15%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებლები ერთნაირია აღნიშნული წლების იანვარ-სექტემბრის საშუალო მაჩვენებლებისთვისაც. 2023 წლის იანვარ-სექტემბრის განმავლობაში ცემენტის იმპორტის საშუალო შეწონილ ფასს თუ შევადარებთ 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან, ვნახავთ, რომ ფასი გაზრდილია 49,07 ლარით, რაც 24,97%-ს შეადგენს.

ასევე საინტერესოა იმპორტის განხილვა მწარმოებელი ქვეყნების ჭრილში. ქვემოთ მოცემულია ცემენტის და კლინკერის იმპორტის მაჩვენებლები 2020 წ. - 2023 წ. სექტემბრის ჩათვლით (ცხრილი N17, N18, N19). ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ცემენტისა და კლინკერის საერთო იმპორტში აზერბაიჯანი ლიდერობს, მაგრამ თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ, ვნახავთ, რომ აზერბაიჯანიდან ძირითადად კლინკერის იმპორტი ხდება, ხოლო თურქეთიდან - ცემენტის.

ცემენტისა და კლინკერის იმპორტი მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით, 2020 წ. – 2023 წლის სექტემბრის ჩათვლით

მწარმოებელი ქვეყანა	**2020 წ.**	**2021 წ.**	**2022 წ.**	**2023 წ. 9 თვე**	**სულ**	**%**
აზერბაიჯანი	57,579,992.45	97,131,837.60	113,609,635.68	99,260,252.81	367,581,718.54	69.50
თურქეთი	50,738,171.71	41,854,462.07	34,049,562.29	30,049,649.83	156,691,845.90	29.63
სხვა ქვეყნები	4,203,598.97	99,212.79	249,338.23	33,359.17	4,585,509.16	0.87
სულ	**112,521,763.12**	**139,085,512.46**	**147,908,536.20**	**129,343,261.80**	**528,859,073.59**	**100.00**

ცხრილი N17 - ცემენტის და კლინკერის იმპორტი 2020-2023 წლების იანვარ-სექტემბრის ჩათვლით ქვეყნების მიხედვით (ღირებულება - ლარი)

კლინკერის იმპორტი საქართველოში მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით, 2020 წ. – 2023 წლის სექტემბრის ჩათვლით

მწარმოებელი ქვეყანა	**2020 წ.**	**2021 წ.**	**2022 წ.**	**2023 წ. 9 თვე**	**სულ**	**%**
აზერბაიჯანი	57,537,384.67	96,833,245.75	111,703,244.54	91,684,339.17	357,758,214.14	92.75
თურქეთი	20,018,584.26	2,802,809.85	0.00	1,074,190.65	23,895,584.76	6.19
სხვა ქვეყნები	4,081,959.73	0.00	0.00	0.00	4,081,959.73	1.06
სულ	**81,637,928.66**	**99,636,055.60**	**111,703,244.54**	**92,758,529.82**	**385,735,758.63**	**99.71**

ცხრილი N18 - კლინკერის იმპორტი 2020-2023 წლების იანვარ-სექტემბრის ჩათვლით ქვეყნების მიხედვით (ღირებულება - ლარი)

ცემენტის იმპორტი საქართველოში მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით, 2020 წ. – 2023 წლის სექტემბრის ჩათვლით

მწარმოებელი ქვეყანა	**2020 წ.**	**2021 წ.**	**2022 წ.**	**2023 წ. 9 თვე**	**სულ**	**%**
აზერბაიჯანი	42,607.78	298,591.84	1,906,391.14	7,575,913.64	9,823,504.40	6.86
თურქეთი	30,719,587.44	39,051,652.22	34,049,562.29	28,975,459.18	132,796,261.14	92.78
სხვა ქვეყნები	121,639.24	99,212.79	249,338.23	33,359.17	503,549.43	0.35
სულ	**30,883,834.46**	**39,449,456.86**	**36,205,291.66**	**36,584,731.98**	**143,123,314.96**	**100.00**

ცხრილი N19 - ცემენტის იმპორტი 2020-2023 წლების იანვარ-სექტემბრის ჩათვლით ქვეყნების მიხედვით (ღირებულება - ლარი)

როგორც ვხედავთ, საქართველოში კლინკერის ექსპორტის 92,75%-ს იკავებს აზერბაიჯანი, ხოლო ცემენტის ექსპორტის 92,78%-ს - თურქეთი.

მთლიანობაში აღსანიშნავია ისიც, რომ HS 4 დონეზე პროდუქტის იმპორტში 2523 კოდისთვის საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის უდიდეს ნაწილს ცემენტის კლინკერები შეადგენს (დიაგრამა N25):



დიაგრამა N25 - იმპორტის განაწილება სახეობების მიხედვით 2020წ. – 2023წ. სექტემბრის ჩათვლით (ღირებულება, ლარი)

ქვემოთ დიაგრამებზე მოცემულია 2020-2023 წლებში იმპორტირებული ცემენტის და კლინკერის ფასების განვითარების დინამიკა ქვეყნების მიხედვით. დიაგრამისთვის აღებულ იქნა 2 ძირითადი ექსპორტიორი ქვეყანა - აზერბაიჯანი და თურქეთი. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ფასების განსხვავებული ტრენდები, კერძოდ, კლინკერის ჭრილში

აზერბაიჯანიდანაც და თურქეთიდანაც ექსპორტის ფასი ოდნავ იმატებს. ცემენტის ჭრილში თურქეთიდან ექსპორტის ფასი თანაბრად, მაგრამ შესამჩნევად იზრდება, ხოლო აზერბაიჯანიდან ექსპორტს ტეხილი ტრენდი ახასიათებს, 2021 წელს მკვეთრი მატებით, მაგრამ შემდეგ ასევე მკვეთრად იკლებს. მიუხედავად ასეთი სხვადასხვანაირობისა, ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი განსახილველ პერიოდში ზრდადია როგორც კლინკერის, ასევე ცემენტის ჭრილში (დიაგრამა N26, N27).



<u>დიაგრამა N26</u> - კლინკერის ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი ქვეყნების მიხედვით 2020წ. – 2023წ. სექტემბრის ჩათვლით (ლარი/ტონა)

<u>შენიშვნა:</u> ზედა დიაგრამაზე 2022 წელს თურქეთიდან კლინკერის ექსპორტი არ განხორციელებულა, რის გამოც მითითებული ფასი აღებულია პირობით, როგორც ბოლო განხორციელებული ექსპორტის ფასი.



<u>დიაგრამა N27</u> - ცემენტის ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი ქვეყნების მიხედვით 2020წ. – 2023წ. სექტემბრის ჩათვლით (ლარი/ტონა)

როგორც დიაგრამაზე ვხედავთ, აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ცემენტის ფასი 2020 - 2021 წლებში ბევრად მეტია თურქეთიდან იმპორტის ფასზე, რითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ პროდუქციაში კლინკერის წილი შეადგენს 99,926%-ს, ხოლო ცემენტისა - 0,074%-ს. ანალოგიური მაჩვენებლები თურქეთის შემთხვევაში არის - 39,45% და 60,55%.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ განსახილველ პერიოდში ცემენტისა და კლინკერის ფასები იმატებს, როგორც იმპორტის, ასევე ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციის ნაწილში, შესაბამისად, იმატებს რეალიზაციის მოცულობაც.

2.3. ცემენტის ფასები სამშენებლო ინდუსტრიის ზოგადი ტრენდის კონტექსტში

იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს ხელთ არსებული ძირითადი ინფორმაცია შემოიფარგლებოდა იმპორტის მონაცემებისა და ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების მაჩვენებლებით, მნიშვნელოვანია განხილულ იქნას აღნიშნული მაჩვენებლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ყოველთვიურად გამოქვეყნებად მშენებლობისთვის შეძენელი მასალების ფასების ინდექსთან მიმართებით. უდავოა, რომ სამშენებლო ცემენტი, როგორც პროდუქტი, გარკვეულ გავლენას ახდენს ზემოხსენებულ ინდექსზეც, როგორც მშენებლობის ღირებულების შემადგენელი ნაწილი, კერძოდ, აღნიშნული ინდექსი ორი ნაწილისგან შედგება - სამშენებლო მოედნის მომზადებისა და შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის ნაწილისაგან. აღნიშნულთაგან ორივე შემთხვევაში გასათვალისწინებელია ცემენტის ფასი. ამიტომ შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ გარკვეული კორელაცია უნდა არსებობდეს ცემენტის ფასსა და მშენებლობისთვის შეძენელი მასალების ფასების ინდექსს შორის. აღნიშნულის გათვალისწინებით N28 დიაგრამაზე ნაჩვენებია სწორედ ეს ურთიერთმიმართება.



<u>დიაგრამა N28</u> - იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ცემენტის სარეალიზაციო საშუალო შეწონილი ფასები (ლარი/ტონა) და მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსი (2010 წლის საშუალო = 100, წყარო საქსტატი) 2020წ. – 2023წ. სექტემბრის ჩათვლით

წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა №28 დიაგრამაზე ნაჩვენები ტრენდის ბოლო ნაწილი, კერძოდ 2022 წლის მარტიდან პერიოდი, როდესაც ინდექსის მაჩვენებელი იკლებს, თუმცა ამ ტრენდს არ მიყვება ცემენტის ფასი (როგორც იმპორტირებული, ასევე ადგილობრივი წარმოების) და უფრო მეტიც - განსხვავდება ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული ცემენტის ფასის დინამიკაც, კერძოდ, იმპორტირებული პროდუქტის ფასი მეტწილად სტაბილური ან მცირედ კლებადია, ხოლო ადგილობრივი წარმოებისა მეტწილად ზრდადი. აღნიშნული ფაქტი მიგვანიშნებს, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანი პრაქტიკულად არ დასტურდება საფასო კრიტერიუმში. მეორე მხრივ როგორც კვლევის ძირითადმა ნაწილმა უჩვენა, 2020-2022 წლებში გარკვეული რაოდენობრივი კლება დაფიქსირდა.

დასკვნა

2020-2023 წლების პორტლანდცემენტის იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების მონაცემების შეფასების შედეგად იკვეთება, რომ პორტლანდცემენტის გაყიდვებში ადგილობრივი წარმოების წილი სტაბილურად მაღალია და 90-95%-ის ფარგლებში მერყეობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე ძირითადად ადგილობრივი წარმოების პროდუქტია მიმოქცევაში, ეს უკანასკნელი შესაძლოა დამზადდეს როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული კლინკერისგან. შესაბამისად, ადგილობრივი წარმოების ცემენტის გაყიდვები, როგორც ცალკე აღებული მაჩვენებელი, შესაძლოა ყოველთვის ზუსტად არ ასახავდეს კონტექსტს.

ადგილობრივი ინდუსტრიისა და იმპორტირებული პროდუქტის ფასების შედარების საფუძველზე კი იკვეთება, რომ 2019-2021 წლებში, იმპორტირებული პორტლანდცემენტის საინვოისო ღირებულება მხოლოდ 5-10 %-ით დაბალია ადგილობრივი წარმოების ცემენტის საბოლოო ფასზე. აღსანიშნავია, რომ იმპორტირებული ცემენტის ფასის პარალელურად ადგილობრივი წარმოების პროდუქტის საშუალო ღირებულება ამ პერიოდში არ შემცირებულა. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ 2020-2023 წლებში ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული პროდუქტის ფასი ზრდადია, იმპორტს (მით უფრო მისი მოცულობის გათვალისწინებით) ადგილობრივი ინდუსტრიის ფასებზე უარყოფითი გავლენა არ ჰქონია.

ცალკე უნდა გამოიყოს ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული პროდუქციის ფასების შედარება იმპორტის ფასებთან და მშენებლობის ღირებულების ინდექსთან. აღსანიშნავია, რომ განსახილველ პროდუქტზე ფასები იზრდება იმ პირობებშიც, როდესაც მშენებლობის ღირებულება (ინდექსირებული 2010 წლის ფასების მიმართ) გარკვეულწილად მცირდებოდა კიდეც.

ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული გავლენების ანალიზით დგინდება, რომ კომპანიების საქმიანობაში არსებითად უარყოფითი ტენდენცია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით არ იკვეთება.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული მონაცემების მიხედვით, **იკვეთება ადგილობრივი ინდუსტრიის განვითარების ზოგადი დადებითი ტენდენცია, თუმცა არსებობს იმპორტის (როგორც საბოლოო პროდუქტის, ასევე კლინკერის შემთხვევაში) ჩანაცვლების მნიშვნელოვანი არეალი, რომლის მიღწევისთვის საჭირო ადგილობრივი ინდუსტრიის კონკურენტული უპირატესობის გამოვლინებები ამ ეტაპზე სააგენტოს ხელთ არსებული მონაცემებით არ იკვეთება.**